

შპს „იფქლის“

ფინანსური და მმართველობის
ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
საანგარიშგებო წლისთვის

CONTENTS

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	10
1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები:	10
3. მნიშვნელოვანი მოვლენები:	11
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:	12
5. განმარტებითი შენიშვნები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე.....	13
5.1. ფულადი სახსრები:.....	13
5.4. მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი:	13
5.8. საინვესტიციო ქონება:	14
5.9. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები:	14
5.16. ძირითადი საშუალებები:.....	15
5.19. არამატერიალური აქტივები:.....	17
5.20. სხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები:.....	17
5.21. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:.....	17
5.22. გაცემული სესხები:.....	17
5.23. გადავადებული საგადასახადო აქტივი:.....	18
5.24. სავაჭრო ვალდებულებები:	18
5.25.1. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	18
5.25.2. გადასახდელი ხელფასები.....	18
5.25.3. ვალდებულებები პერსონალის წინაშე.....	18
5.26. სხვა ფინანსური ვალდებულებები:	19
5.27. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შესადარისი პერიოდის (31.12.2017 და 31.12.2018) კორექტირების საფუძველი.....	19
6. საქმიანობის შედეგების ანგარიშგება:.....	19
7. ფულადი ნაკადების ანგარიშგება	24
8. ცვლილებები საწარმოს საკუთარ კაპიტალში.....	25
9. დასკვნითი ნაწილი	25
შპს „იფელი“	26
მმართველობითი ანგარიშგება	26



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „იფელის“ - დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს

მოდიფიცირებული (პირობითი) მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „იფელის“ (შემდგომში - „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ყველა მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი მოსაზრებით, გარდა ქვეთავში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხებისა, შპს-ის „იფელი“ ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ შევისწავლეთ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია და ვასკვნით, რომ წარმოდგენილი საკითხები არსებითია მაგრამ არა ყოვლისმომცველი. კერძოდ:

- 1) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების ნაშთი უფიქსირდება - 10 837 053 ლარის ოდენობით. საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძელით მოძრავი ქონების ინვენტარიზაციის ჩატარება, შესაბამისად, ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი სათანადო მტკიცებულებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძელით განვსაზღვრა აუცილებელი იყო თუ არა რაოდენობრივი ან/და თვისობრივი მდგომარეობის თვალსაზრისით მომხდარიყო რაიმე სახის კორექტირება. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საწარმო იყენებს ცვთის დარიცხვის კლებადი ნაშთის მეთოდს, თუმცა არასწორი ინტერპრეტაციით.
- 2) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მუხლში დებიტორული დავალიანების ნაშთი უფიქსირდება - 2 313 894 ლარის ოდენობით. აღნიშნულთან მიმართებაში, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარისაგან დასტურის წერილები და ვერც ალტერნატიული აუდიტორული პროცედურების ჩატარებით მოვახერხეთ მოგვეპოვებინა საკმარისი და დასაბუთებული მტკიცება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაშთის დასადასტურებლად. შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების განხორციელება აღნიშნულ თანხასთან მიმართებაში, რაც თავისმხრივ, მონაწილეობს ფინანსური ანგარიშგების ფორმირებაში.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება - ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 2.2 შენიშვნაზე, რომელიც გვიჩვენებს, რომ კომპანიამ მიიღო წმინდა ფინანსური მოგება, მას უფიქსირდება დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები და მომავალში საოპერაციო საქმიანობის გაგრძელების, აღებული მოვალეობების შესრულებისა და საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულების დაფარვა დამოკიდებულია კომპანიის შესაძლებლობაზე განახორციელოს მომგებიანი ოპერაციები ან/და მოიზიდოს დამატებითი ფინანსები. დამატებით, როგორც ეს გაშიფრულია 2.3 შენიშვნაში, კომპანიის საქმიანობაზე გავლენა ვერ მოახდინა ახალი კორონავირუსის (COVID-19) ეპიდემიურმა აფეთქებამ, რომელიც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის მარტში გამოაცხადა გლობალურ პანდემიად.

მოცემული ფაქტები მიუთითებს რომ კომპანიას უნარი შესწევს, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს რაიმე კორექტირებას, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყოს რაიმე განუსაზღვრელობით. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა

შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;

- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;

- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვს ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადგბსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მოსაზრება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნებთან

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და

მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

შპს-ის „აუდიტ ბიზნეს კონსალტინგი“ სახელით

გარიგების პარტნიორი

/ზაზა მჭედლიშვილი/

თბილისი, საქართველო

15 სექტემბერი 2021 წ.

შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას;

- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;

- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;

- გამოვავსებ დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაა დეკლარირებული იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილ მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადგბსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მოსაზრება "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნებთან

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

შპს-ის „აუდიტ ბიზნეს კონსალტინგი“ სახელით
გარიგების პარტნიორი



რამა მჭედლიშვილი/

თბილისი, საქართველო

15 სექტემბერი 2021 წ.

შპს „იფელი“ (საიდენტიფიკაციო N200179118)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები

მიმდინარე აქტივები	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
ფულადი სახსრები	5.1.	6134721	1790361
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5.21.	2313894	1733014
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი	5.4.	2046427	120014
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	5.9.	1453032	1132548
გაცემული სესხები	5.22.	3700	3700
საგადასახადო აქტივი		294875	327343
სხვა მიმდინარე აქტივი		427413	396775
სულ მიმდინარე აქტივები		12674063	5503756
გრძელვადიანი აქტივები			
საინვესტიციო ქონება	5.8.	6163708	6226775
ძირითადი საშუალებები	5.17.	10837053	11214192
არამატერიალური აქტივები	5.19.	22888	28355
გადავადებული საგადასახადო აქტივი	5.23.	0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები		17023650	17469322
სულ აქტივები		29697713	22973078

ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი

მოკლევადიანი ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	5.24.	564353	724576
მიღებული ავანსები		1692	4484
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	5.25.1.	69463	241085
თანამშრომლების მიმართ არსებული ვალდებულებები (გადასახდელი ხელფასები)	5.25.2	70528	132864
სულ მიმდინარე ვალდებულება		706035	1103007
გრძელვადიანი ვალდებულება			
სხვა ფინანსური ვალდებულებები	5.26.	165750	123250
სხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	5.20.	3822580	0
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები			
სულ გრძელვადიანი ვალდებულება		3988330	123250
სულ ვალდებულება		4694365	1226257
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		4153565	4153565
გაუნაწილებელი მოგება		11613981	8357453
სხვა რეზერვები		9235803	9235803
სულ კაპიტალი		25003348	21746820
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		29697713	22973078

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 15 სექტემბერს:

შპს-ის „იფელი“, (საიდენტიფიკაციო N200179118)

დირექტორი

/არისი ბოჭოიძე/

მთავარი ბუღალტერი

/ირაკლი
ბოჭორიშვილი/

შპს „იფელი“ (საიდენტიფიკაციო N200179118)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები

მიმდინარე აქტივები

ფულადი სახსრები

საეჭრო და სხვა მოთხოვნები

მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

გაცემული სესხები

საგადასახადო აქტივი

სხვა მიმდინარე აქტივი

სულ მიმდინარე აქტივები

შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
5.1.	6134721	1790361
5.21.	2313894	1733014
5.4.	2046427	120014
5.9.	1453032	1132548
5.22.	3700	3700
	294875	327343
	427413	396775
	12674063	5503756

გრძელვადიანი აქტივები

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

საინვესტიციო ქონება

ძირითადი საშუალებები

არამატერიალური აქტივები

სხვა გრძელვადიანი აქტივი

გადავადებული საგადასახადო აქტივი

სულ გრძელვადიანი აქტივები

5.8.	6163708	6226775
5.17.	10837053	11214192
5.19.	22888	28355
5.23.	0	0
	17023650	17469322

სულ აქტივები

29697712.9 22973077.7

ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი

მოკლევადიანი ვალდებულება

საეჭრო ვალდებულებები

მიღებული ავანსები

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება

თანამშრომლების მიმართ არსებული ვალდებულებები (გადასახდელი ხელფასები)

სულ მიმდინარე ვალდებულება

გრძელვადიანი ვალდებულება

სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები

სულ გრძელვადიანი ვალდებულება

სულ ვალდებულება

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

გაუნაწილებელი მოგება

სხვა რეზერვები

სულ კაპიტალი

5.24.	564353	724576
	1692	4484
5.25.1.	69463	241085
5.25.2	70528	132864
	706035	1103007
5.26.	165750	123250
5.20.	3822580	0
	3988330	123250
	4694365	1226257
	4153565	4153565
	11613981	8357453
	9235803	9235803
	25003348	21746820
	29697712.9	22973077.7

სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 15 სექტემბერს;

შპს-ის „იფელი“ (საიდენტიფიკაციო N200179118)

დირექტორი

/არისი ბოჭორიძე/

მთავარი ბუღალტერი

/ირაკლი ბოჭორიშვილი/



შპს „იფელი“ (საიდენტიფიკაციო N200179118)

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დასახელება	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
ამონაგები	6.3.	45 613 207	42 357 291
არასაოპერაციო შემოსავალი	6.11.	1 076 440	284 915
სულ შემოსავალი		46 689 647	42 642 205
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6.4.	- 29 327 207	- 25 970 754
რეკლამა და მარკეტინგი	6.5.1.	- 1 826 285	- 1 588 552
მიწოდების დანახარჯები	6.5.2.	- 5 838 216	- 5 322 456
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამრჯელო	6.6.	- 859 159	- 1 690 509
ცვეთა და ამორტიზაცია	6.7.	- 1 831 069	- 2 066 802
აქტივების გაუფასურება	6.8.	- 96 640	- 101 827
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	6.9.	- 1 659 603	- 1 386 315
ფინანსური დანახარჯები	6.10.	- 96 447	- 34 194
მიმდინარე პერიოდის მოგება		5 155 022	4 480 797
მოგების გადასახადი		- 35 032	- 39 618
გაუნაწილებელი მოგება		5 119 991	4 441 178
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		8 357 454	14 691 307
დივიდენდი	-	1 863 463	- 1 775 032
რეზერვები საწარმოს განვითარებისთვის			- 9 000 000
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		11 613 981	8 357 454

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 15 სექტემბერს:
შპს-ის „იფელი“, (საიდენტიფიკაციო N200179118)

დირექტორი

/არისი ბოჭოიძე/

მთავარი ბუღალტერი

/ირაკლი ბოჭორიშვილი/

შპს „იფელი“ (საიდენტიფიკაციო N200179118)

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დასახელება	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
ამონაგები	6.3.	45,613,207	42,357,291
არასაოპერაციო შემოსავალი	6.11.	1,076,440	284,915
სულ შემოსავალი		46,689,647	42,642,205
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6.4.	- 29,327,207	- 25,970,754
რეკლამა და მარკეტინგი	6.5.1.	- 1,826,285	- 1,588,552
მიწოდების დანახარჯები	6.5.2.	- 5,838,216	- 5,322,456
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამრჯელო	6.6.	- 859,159	- 1,690,509
ცვეთა და ამორტიზაცია	6.7.	- 1,831,069	- 2,066,802
აქტივების გაუფასურება	6.8.	- 96,640	- 101,827
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	6.9.	- 1,659,603	- 1,386,315
ფინანსური დანახარჯები	6.10.	- 96,447	- 34,194
მიმდინარე პერიოდის მოგება		5,155,022	4,480,797
მოგების გადასახადი	-	- 35,032	- 39,618
გაუნაწილებელი მოგება		5,119,991	4,441,178
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		8,357,454	14,691,307
დივიდენდი	-	- 1,863,463	- 1,775,032
რეზერვები საწარმოს განვითარებისთვის	-	-	- 9,000,000
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		11,613,981	8,357,454

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 15 სექტემბერს:
შპს-ის „იფელი“, (საიდენტიფიკაციო N200179118)

დირექტორი

/არისი ბოჭოიძე/

მთავარი ბუღალტერი

/ირაკლი ბოჭორიშვილი/

შპს „იფელი“ (საიდენტიფიკაციო N200179118)

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

შინაარსი	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი 2016 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	757 140	7 901 154	235 803	8 894 097
წილობრივი გადახდის საფუძველზე გაზრდილი კაპიტალი	662 500			662 500
საწარმოთა გაერთიანების შედეგად გაზრდილი კაპიტალი	2 733 925			2 733 925
მოგება / (ზარალი)		5 325 983		5 325 983
დივიდენდის გამოცხადება		-949 432		-949 432
ნაშთი 2017 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	4 153 565	11 937 924	235 803	16 327 292
მოგება / (ზარალი)		3712014		3 712 014
დივიდენდის გამოცხადება		-958631		-958 631
ნაშთი 2018 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	4 153 565	14 691 307	235 803	19 080 675
მოგება / (ზარალი)		4441178		4 441 178
დივიდენდის გამოცხადება		-1775032		-1 775 032
რეზერვები საწარმოს განვითარებისთვის		-9000000	9000000	0
ნაშთი 2019 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	4 153 565	8 357 453	9 235 803	21 746 821
მოგება / (ზარალი)		5119991		5 119 991
დივიდენდის გამოცხადება		-1863463		-1 863 463
რეზერვები საწარმოს განვითარებისთვის		0	0	0
ნაშთი 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	4 153 565	11 613 981	9 235 803	25 003 349

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 15 სექტემბერს:
შპს-ის „იფელი“, (საიდენტიფიკაციო N200179118)

დირექტორი

/არისი ბოჭოძე/

მთავარი ბუღალტერი

/ირაკლი ბოჭორიშვილი/

შპს „იფელი“ (საიდენტიფიკაციო N200179118)

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

შინაარსი	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი 2016 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	757 140	7 901 154	235 803	8 894 097
წილობრივი გადახდის საფუძველზე გაზრდილი კაპიტალი	662 500			662 500
საწარმოთა გაერთიანების შედეგად გაზრდილი კაპიტალი	2 733 925			2 733 925
მოგება / (ზარალი)		5 325 983		5 325 983
დივიდენდის გამოცხადება		-949 432		-949 432
ნაშთი 2017 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	4 153 565	11 937 924	235 803	16 327 292
მოგება / (ზარალი)		3712014		3 712 014
დივიდენდის გამოცხადება		-958631		-958 631
ნაშთი 2018 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	4 153 565	14 691 307	235 803	19 080 675
მოგება / (ზარალი)		4441178		4 441 178
დივიდენდის გამოცხადება		-1775032		-1 775 032
რეზერვები საწარმოს განვითარებისთვის		-9000000	9000000	0
ნაშთი 2019 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	4 153 565	8 357 453	9 235 803	21 746 821
მოგება / (ზარალი)		5119991		5 119 991
დივიდენდის გამოცხადება		-1863463		-1 863 463
რეზერვები საწარმოს განვითარებისთვის		0	0	0
ნაშთი 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	4 153 565	11 613 981	9 235 803	25 003 349

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 15 სექტემბერს:

შპს-ის „იფელი“ (საიდენტიფიკაციო N200179118)

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

/არისი ბოჭოიძე/

/ირაკლი ბოჭორიშვილი/



შპს „იფელი“ (საიდენტიფიკაციო N200179118)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2020 წელი	2019 წელი
საოპერაციო საქმიანობა		
საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები	51 251 092	47 654 790
იჯარიდან მიღებული ფულადი სახსრები	1 084 199	1 378 695
მიღებული ავანსები	-	16 682
გადახდილი თანხების უკან დაბრუნება	116 398	79 076
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	52 451 689	49 129 243
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(36 815 650)	(32 842 005)
შრომის ანაზღაურება	(7 060 129)	(6 020 074)
რეკლამა და მარკეტინგი	(1 020 607)	
საპენსიო ფონდში გადახდილი თანხები	(257 553)	(258 902)
მივლინება	-	(196)
გადახდილი გადასახადები	(4 698 301)	(4 134 077)
ანგარიშვალდებულ პირზე გაცემული თანხები	(461)	(128 494)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(61 078)	(12 793)
შეცდომით გადახდილი თანხები	(2 953)	(1 215)
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2 534 957	5 731 488

საინვესტიციო საქმიანობა		
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან	-	50 966
შვილობილი საწარმოს შერწყმით		
საინვესტიციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	-	50 966
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის	(711 453)	(1 792 755)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(711 453)	(1 741 789)

საფინანსო საქმიანობა		
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	4 000 000	-
საპროცენტო შემოსავალი	389 365	99 048
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	206 482	93 030
საფინანსო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	4 595 847	192 078
დივიდენდების გადახდა	(1 770 290)	(1 686 280)
სესხის ძირის და პროცენტის გადახდა	(273 816)	(2 059 172)
საბანკო ხარჯების/საკომისიოები	(9 014)	(9 709)
საგარანტიო ანარიცხები	(4 761)	-
სხვა ფინანსური ხარჯები	(6 751)	-
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	2 531 215	(3 563 083)
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	4 354 719	426 615
სავალუტო კურსის ეფექტი	(10 360)	(5 307)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	1 790 361	1 369 053
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	6 134 721	1 790 361

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 15 სექტემბერს:
შპს-ის „იფელი“, (საიდენტიფიკაციო N200179118)

დირექტორი

/არისი ბოჭოიძე/

მთავარი ბუღალტერი

/ირაკლი ბოჭორიშვილი/

შპს „იფელი“ (საიდენტიფიკაციო N200179118)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2020 წელი	2019 წელი
საოპერაციო საქმიანობა		
საქონლისა და მომსახურების რელიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები	51 251 092	47 654 790
იჯარიდან მიღებული ფულადი სახსრები	1 084 199	1 378 695
მიღებული ავანსები	-	16 682
გადახდილი თანხების უკან დაბრუნება	116 398	79 076
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	52 451 689	49 129 243
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(36 815 650)	(32 842 005)
შრომის ანაზღაურება	(7 060 129)	(6 020 074)
რეკლამა და მარკეტინგი	(1 020 607)	
საპენსიო ფონდში გადახდილი თანხები	(257 553)	(258 902)
მივლინება	-	(196)
გადახდილი გადასახადები	(4 698 301)	(4 134 077)
ანგარიშვალდებულ პირზე გაცემული თანხები	(461)	(128 494)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(61 078)	(12 793)
შეცდომით გადახდილი თანხები	(2 953)	(1 215)
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2 534 957	5 731 488

საინვესტიციო საქმიანობა		
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან	-	50 966
შვილობილი საწარმოს შერწყმით		
საინვესტიციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	-	50 966
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის	(711 453)	(1 792 755)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(711 453)	(1 741 789)

საფინანსო საქმიანობა		
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	4 000 000	-
საპროცენტო შემოსავალი	389 365	99 048
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	206 482	93 030
საფინანსო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	4 595 847	192 078
დივიდენდების გადახდა	(1 770 290)	(1 686 280)
სესხის ძირის და პროცენტის გადახდა	(273 816)	(2 059 172)
საბანკო ხარჯები/საკომისიოები	(9 014)	(9 709)
საგარანტიო ანარიცხები	(4 761)	-
სხვა ფინანსური ხარჯები	(6 751)	-
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	2 531 215	(3 563 083)
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	4 354 719	426 615
სავალუტო კურსის ეფექტი	(10 360)	(5 307)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	1 790 361	1 369 053
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	6 134 721	1 790 361

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 15 სექტემბერს:

შპს-ის „იფელი“ (საიდენტიფიკაციო N200179118)

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი



/არისი ბოჭორიძე/

/ირაკლი ბოჭორიშვილი/

შპს „იფელი“ (ს.კ. №200179118)
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1. შპს „იფელი“ (შემდგომში „საწარმო“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2006 წლის 24 თებერვალს, რეგისტრაციის №3365/001-შპს

1.2. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- პურ-პროდუქტების წარმოება და რეალიზაცია;
- არახანგრძლივი შენახვის საკონდიტრო ნაწარმის წარმოება;
- ორცხობილას, მშრალი ნამცხვრებისა და ხანგრძლივი შენახვის ცომეული საკონდიტრო ნაწარმის წარმოება;

– სხვა საქმიანობა, რაც მოქმედი კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

1.3. საწარმო წარმოადგენს მეორე კატეგორიის (საშუალო) საწარმოს. მას არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება;

1.4. შვილობილი და მეკავშირე საწარმოები:

- საწარმოს არ გააჩნია შვილობილი და მეკავშირე საწარმოები;

1.5. საწარმოს სტრუქტურა:

- პურ-პროდუქტების საწარმოო საამქრო;
- ცომეული საკონდიტრო ნაწარმის საწარმოო უბანი;
- სადისტრიბუციო სამსახური;
- ხარისხის მონიტორინგის ლაბორატორია;
- ტექნიკური და ეკონომიკური ქვედანაყოფები.

2. საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები:

2.1. კომპანიის პროდუქცია იყიდება ქ. თბილისში, გორში, მცხეთაში, მარნეულისა და თეთრი წყაროს რაიონებში, კახეთისა და დასავლეთ საქართველოს რეგიონებში, აჭარაში. პურპროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციის ბიზნესის ბაზარზე დიდი კონკურენციაა, თუმცა, პროდუქციის მაღალი ხარისხისა და აქტიური მარკეტინგული საქმიანობის ხარჯზე დღესაც ლიდერის პოზიციას ვინარჩუნებთ. 2018-2020 წლებში განხორციელებული ტექნიკური გადაიარაღება-განახლების შედეგად საწარმო ერთ-ერთი საუკეთესო ამიერკავკასიაში.

2.2. კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილების შესაბამისად, ხელმძღვანელობა ყოველწლიურად ახორციელებს ორგანიზაციულ, ტექნიკურ და მარკეტინგულ ღონისძიებებს, შედეგად პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა 7,69 %-ით გაიზარდა.

რეალიზაციიდან შემოსავლების ანალიზი

საქმიანობის კოდი	რეგიონები	2020 წ	2019 წ
C.10.71.-G46.36.3- G.47.24.0.	თბილისი და საქ რეგიონები	43 699 506	40 419 185
L.68.20.2	თბილისი	1 041 886	1 169 834
სხვა მარაგების რეალიზაცია	თბილისი	871 815	765 475
G.45.20.	თბილისი	0	2 796
ჯამი		45 613 207	42 357 290

მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში დაგეგმილია სარეკლამო პროცესის გააქტიურება და სადისტრიბუციო საქმიანობის არსებითი გაუმჯობესება.

კომპანია წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს, საწარმო ფინანსურად სტაბილურია

და მას შეუძლია საკუთარი სახსრებით გააგრძელოს კომპანიის განვითარება და ბაზარზე ლიდერის პოზიციის შენარჩუნება.

საწარმოს ფუნქციონირებადობის ანალიზი

დასახელება	გაუნაწილებელი მოგება
ნაშთი 31.12.2017 წ	11 937 924
2018 წლის მოგება	3 712 014
დივიდენდის გამოცხადება	958 632
ნაშთი 31.12.2018წ	14 691 307
2019 წლის წმინდა მოგება	4 441 178
დივიდენდის გამოცხადება	1 775 032
საწარმოს განვითარების რეზერვი	9 000 000
ნაშთი 31.12.2019 წ	8 357 453
2020 წლის წმინდა მოგება	5 119 991
დივიდენდის გამოცხადება	1 863 463
ნაშთი 31.12.2020 წ	11 613 981

2.3 გარდა ზემოაღნიშნულისა, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ COVID-19–თან დაკავშირებული ბიზნეს სირთულეები გაყიდვების ნაწილში ჩვენს კომპანიას არ შეხებია. უფრო მეტიც, ჩვენი წარმოება ქმნის ე. წ. „სოციალურ“ პროდუქტს და შესაბამისად, დაბალი ფასისა და მაღალი ხარისხის გათვალისწინებით, ეკონომიკური კრიზისის პირობებში ჩვენს პროდუქტზე გაიზარდა მოთხოვნა. რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა გეჩვენებოდეთ, კრიზისის პირობებში მოსახლეობა მიდრეკილია განკარგავდი შემოსავლების დაზოგვისაკენ და მცირდება ძვირად ღირებული პროდუქტების, მათ შორის, პურ-პროდუქტების შესყიდვას. შესაბამისად, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, მათ შორის საშუალო სეგმენტი, გადადის შედარებით შეღავათიანი ფასის პროდუქციაზე, რამაც 2020 წელს გაზარდა კომპანიის შემოსავლები.

3. მნიშვნელოვანი მოვლენები:

3.1. ტექნიკური პოტენციალის გაზრდის მიზნით, 2018 წელს განხორციელდა საწარმოს ტექნიკური გადაიარაღება-აღჭურვა, რომელიც დასრულდა 2019 წელს. დამონტაჟდა და ექსპლუატაციაში შევიდა ოთხი ავტომატური პურის საცხობი ხაზი, რომელიც თავისი ტექნიკური პარამეტრებით ერთერთი საუკეთესო ევროპაში და პასუხობს ევროსტანდარტების მოთხოვნებს. განახლდა დისტრიბუციის ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკი.

3.2. 2020 წლის 27 აგვისტოს სს საქართველოს ბანკთან გაფორმდა **NGCLCA000434027-6793675** სესხის ხელშეკრულება. შესხის თანხად განისაზღვრა – 4 მლნ ლარი, ხოლო სესხის მიზნობრივობას წარმოადგენდა ქ. ქუთაისში პურის ქარხნის მშენებლობა. ასევე, 2020-2021 წლებში განხორციელდა 3 მლნ ლარის ღირებულების პირდაპირი ინვესტიცია თანამედროვე მანქანა-დანადგერების შესყიდვის მიმართულებით, რაც მოგვცემს შესაძლებლობას ქალაქ ქუთაისში გვექონდეს თანამედროვე ტიპის, საერთაშორისო სტანდარტების დაცვით აღჭურვილი პურის მწარმოებელი ქარხანა.

3.3. დაიხვეწა საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა და ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდოლოგია.

3.4. საგადასახადო ანგარიშგებისა და ბუღალტრული აღრიცხვის ფინანსური ინფორმაციის ურთიერთშესაბამისობის კონტროლის გააღვივების მიზნით ბუღალტრულ აღრიცხვაში საგადასახადო ვალდებულებების სუბანგარიშების სააღრიცხვო ბარათების პარალელურად ნაერთი საგადასახადო-სააღრიცხვო ბარათის შემოღებამ გააუმჯობესა საგადასახადო ვალდებულებების შიდა კონტროლი.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

4.1. საწარმოს საოპერაციო (მუშა) და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა – ლარი;

4.2. მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად 2015 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის – „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესწორებები (მსს ფასს)“ - შედეგად ცვლილებები შევიდა მსს ფასს-ის რიგ მუხლებში, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2017 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, რაც გათვალისწინებულია საწარმოს ფინანსურ აღრიცხვა-ანგარიშგებაში.

4.3. საწარმოს წინა საანგარიშგო პერიოდებში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

4.4. მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი შეეხო მხოლოდ საგადასახადო ვალდებულებების კორექტირებას, რაც დაექვემდებარა საკუთარი კაპიტალის კატეგორიაში აღიარებას.

4.5. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესაძრისობის პრინციპიდან გამომდინარე ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეტანილია წინა საანგარიშგებო პერიოდის – ფინანსური ინფორმაცია.

4.6. საწარმოს მიერ წარმოდგენილი 2020 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და მსს ფასს-ის შესაბამისად;

4.7. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშგებას;
- საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგებას;
- ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
- კაპიტალის მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
- განმარტებით შენიშვნებს.

5. განმრტებითი შენიშვნები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე

5.1. ფულადი სახსრები:

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებულ ფულად სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახა ცალ-ცალკე, პირდაპირი მეთოდით;

ფული და ფულის ეკვივალენტები

დასახელება	31.12.2020 წ მდგომარეობით	31.12.2019 წ მდგომარეობით
ნაღდი ფული საღაროში	182 052,60	57 280,59
ეროვნული ვალუტა საბანკო ანგარიშზე	3 444 291,59	1 733 074,29
აშშ დოლარი საბანკო ანგარიშზე	48 600,00	-
ევრო საბანკო ანგარიშზე	2 459 765,34	-
რუსული რუბლი საბანკო ანგარიშზე	11,39	6,40
ჯამი	6 134 720,92	1 790 361,31

5.2. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულად სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის – 31 დეკემბერს არსებული კურსით;

5.3. შეზღუდული ფული ან ფულის ეკვივალენტები საწარმოს საანგარიშგებო პერიოდში არ გააჩნდა;

5.4. მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი:

საწარმოს საანგარიშგებო წელს ტექნოლოგიური მოწყობილობებისა და სასაქონლო-მატერიალური მარაგების შესაძენად წინასწარ (ავანსად) გადარიცხული თანხების ნაშთი საანგარიშო წლის დასაწყისში 253 563 ლარს შეადგენდა, ხოლო წლის დასასრულს გარდამავალი ნაშთი 119 014 ლარით განისაზღვრებოდა, რაც იხურება მომდევნო საანგარიშგებო წელს. ამასთან, პერიოდის დასაწყისში და ბოლოს ასევე ფიქსირდება ავანსი – 1000 ლარი, რაც წარმოადგენს დისტრიბუციისთვის წინასწარ გადახდილ თანხას:

დასახელება	31.12.2020 წ	31.12.2019 წ
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი	2 046 427,43	119 014
დისტრიბუციაზე გადახდილი ავანსი	0,00	1 000

5.5. საწარმოს მიერ განხორციელებული ინვესტიციები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახა თვითღირებულების მოდელით, თვითღირებულებიდან დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით;

5.6. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საინვესტიციო ქონება წარმოდგენილია ძირითადი საშუალებებისაგან გამიჯნულად;

5.7. საინვესტიციო ქონება აღიარებისას აღრიცხულია – თვითღირებულებით. მათი გადაფასება საანგარიშგებო პერიოდში არ მომხდარა.

5.8. საინვესტიციო ქონება:

საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის საინვესტიციო ქონების გაუფასურების ნიშნები არ არსებობდა, რის გამოც საინვესტიციო ქონება ანგარიშგებაში ასახულია ცვეთის გამოკლებით. ამასთან, საინვესტიციო ქონება აღირიცხება თვითღირებულების მეთოდით, ვინაიდან, რეალური ღირებულების დადგენა მნიშვნელოვან დანახარჯებთან არის დაკავშირებული:

საინვესტიციო ქონების დასახელება	31.12.2020 ₾	31.12.2019 ₾
მიწა არასას-სამეურნეო 3600 კვ.მ	2 858 918,40	2 858 918
მიწა არასას-სამეურნეო წერეთელ.	94 600,00	94 600
მიწა არასას-სამეურნეო 3514	2 011 925,00	2 011 925
შენობა აღმაშენებლის ხეივანში	722 000,00	722 000
შენობა აღმაშენებლის ხეივ. ცვეთა	-118 450,87	(86 685)
კომერციული ფართი 145.1 კვ.მ	318 000,00	318 000
კომერციული ფართის ცვეთა	-55 578,94	(41 767)
კომერციული ფართი 160.48 კვ.მ	344 500,00	344 500
კომერციული ფართის ცვეთა	-60 210,52	(45 248)
კომერციული ფართი წერეთელზე	94 443,27	94 443
კომერციული ფართის ცვეთა	-46 438,15	(43 912)
ჯამი	6 163 708	6 226 775

5.9. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები:

შესყიდული მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით.

მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები

დასახელება	31.12.2020 ₾	31.12.2019 ₾
საქონელი	15 487,04	4 166
ნედლეული და მასალები	555 292,85	537 222
გულსართი	4 833,86	1 481
მზაპროდუქცია	45 075,25	26 868
დეფექტ. და დაბრუნებული პრ.	0,00	11 271
ჩამოფასებული პროდუქცია	3 814,73	2 129
სამშენებლო მასალები	9 742,07	193
კომპიუტერის ნაწილები	0,00	2 883
ა/მანქანების სათადარიგო ნაწილ.	0,00	127 123
ა/მანქანების მეორადი ნაწილ.	171 244,83	22 055
საწარმ. მოწყობილ. ს/ნაწილები	22 054,98	231 700
სამეურნეო მასალები	239 766,24	1 739
საწვავ-საცხები მასალები	0,00	30 554
სხვა სასაქონლო-მატერ. მარაგები	40 937,21	133 163
ჯამი	1 453 032	1 132 548

5.10. დაუმთავრებელ წარმოებაზე გახარჯული მასალები ჩამოიწერება საწარმოს მიერ დადგენილი ნორმისა და გამოშვებული პროდუქციის მიხედვით. ფქვილის ტომრების ღირებულება

ვერ იმიჯნება ფქვილის თვითღირებულებიდან, რის გამოც მთლიანად ჩამოიწერება დაუმთავრებელ წარმოებაზე, ხოლო ტომრები მეორადი გამოყენებისათვის შემოსავალში აიღება წმინდა სარეალიზაციო („ნეტო სარეალიზაციო“) ფასით და აღიარებულია არასაოპერაციო შემოსავლად;

5.11. პროდუქციის თვითღირებულებაში ასევე შეიტანება პურპროდუქტების წარმოებაზე გაწეული ზედნადები ხარჯები.

ცვლადი ზედნადები გამოთვლილია პროდუქციის ერთეულზე, წარმოების მოცულობის გათვალისწინებით;

5.12. მარაგების თვითღირებულების აღიარება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების მოდელით;

5.13. საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე ადგილი აქვს პურპროდუქტების დაბრუნებას და მოძველებული პროდუქციის გაუფასურებას. მოძველებული პროდუქციის ღირებულების ჩამოფასება ხდება წმინდა სარეალიზაციო („ნეტო სარეალიზაციო“) ღირებულებამდე. გაუფასურების შედეგად წარმოქმნილი ზარალი მსს ფასს-ის შესაბამისად აისახება გაუფასურების ხარჯებში და მიკუთვნებულია საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ შედეგებზე.

5.14. ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ტალონებით და აღირიცხება შესყიდვის ღირებულებით. ტალონები აღირიცხება მარაგების სახით განცალკევებულად. საწვავი დისტრიბუციის სატვირთო ავტოფურგონებზე ჩამოიწერება სასაქონლო ზედნადების ან ავტოსაგზაო ბარათების მიხედვით ფაქტობრივად გარბენილი კილომეტრებისა და ხარჯვის ნორმების შესაბამისად.

5.15. საწარმოს გრძელვადიანი მარაგები არ გააჩნია.

5.16. ძირითადი საშუალებები:

კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ცვეთის გამოკლებით;

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება შემცირებადი ნაშთის მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდში ძირითადი აქტივების გაუფასურების ნიშნები არ გამოვლენილა და ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი აქტივების ღირებულება მსს ფასს-ის მოთხოვნათა შესაბამისად შეტანილია პირვანდელი ღირებულებით, ცვეთის გამოკლებით

ძირითადი საშუალებები

დასახელება	31.12.2020 წ	31.12.2019 წ
მიწის ნაკვეთი 3255 კვ.მ	185 099	185 099
მიწის ნაკვეთი 1780 კვ.მ	810 256	810 256
მიწის ნაკვეთი 2747 კვ.მ	164 820	164 820
მიწის ნაკვეთი 75 კვ.მ	2 625	2 625
წისქვილ-კომბინატის შენობა	235 448	264 500
წ/კომბინატის შენობის ცვეთა	264 500	(113 143)
საწყობის შენობა	-120 711	84 013
საწყობის შენობის ცვეთა	84 013	(32 892)
საწყობის II სართული	-35 448	328 536

საწყოების II სართულის ცვეთა	328 536	(51 552)
საწარმოო შენობა ქერჩის ქ.	-65 401	631 323
საწარმოო შენობის ცვეთა	631 323	(201 904)
ავტოსახელოსნო, სამრეცხაო	-223 375	259 933,44
ავტოსახელოსნო, სამრეცხაო	259 933	-12 996,67
საწარმოო და სასაწყ.ფართი	-25 344	270 767,80
საწ. და სასაწყობო ფართი	270 768	-13 538,39
დროებითი შენობა ქერჩის №1	-26 400	69 824,00
დროებითი შენობა ქერჩის №2	69 824	-1 163,73
დაუმთავრებელი მშენებლობა	401 382	202 810,22
ნაგებობები	32 076	24 141,71
ნაგებობების ცვეთა	-9 672	(8 806)
სათვალთვალო ვიდეო სისტემა	44 289	42 271
სათვალთვალო ვიდეო სისტემის ცვ.	-26 117	(21 961)
სისტემები და ქსელები	201 054	201 054
სისტემებისა და ქსელების ცვეთა	-112 479	(90 335)
მანქანა-დანადგარები	12 461 946	12 111 726
მანქანა-დანადგარების ცვეთა	-7 318 427	(6 074 417)
ძალ. და თბოტექნიკური მოწყ.	522 202	522 202
ძალ. და თბოტექნიკური მოწყ. ცვეთ	-164 571	(133 473)
დიზ/გენერატორები	156 289	154 163
დიზ/გენერატორების ცვეთა	-60 618	(52 453)
ელექტროგადამცემის საშ.	86 531	86 531
ელექტროგადამცემის საშ. ცვეთა	-41 528	(37 615)
კომპიუტერული ტექნიკა	71 563	67 953
კომპიუტერული ტექნიკის ცვეთა	-51 179	(46 767)
ოფისის აღჭურვილობა	16 144	15 788
ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	-7 609	(5 491)
წყალმომარაგების ქსელი	58 057	58 057
წყალმომარაგების ქსელის ცვეთა	-47 159	(44 435)
სპეციალური ინსტრუმენტები	41 225	35 667
სპეციალური ინსტრუმენტების ცვ.	-25 932	(22 892)
სატრანსპორტო საშუალებები	2 771 977	2 259 453
სატრანსპორტო საშუალებების ცვ.	-1 166 229	(876 448)
1000 ლარამდე ძირ/საშუალებები	494 962	479 737
1000 ლარამდე ძირ/საშუალებების ცვ.	-297 016	(276 807)
ადგილზე დამზადებული ინვენტარი	548	548
ადგილზე დამზ. ინვენტარის ცვეთა	-523	(517)
ჯამი	10 837 053	11 214 192

5.18. მრავალჯერადი გამოყენების მცირეფასიანი ინსტრუმენტები და ინვენტარი, რომელთა სასარგებლო ეკონომიკური გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია, მიკუთვნებულია სხვა მიმდინარე აქტივებზე;

5.19. არამატერიალური აქტივები:

საწარმოს გააჩნია სპეციალური კომპიუტერული პროგრამები, რაც ასახულია არამატერიალური აქტივების შემადგენლობაში. საწარმოს გააჩნია საავტორო უფლებები ახალ პროდუქციაზე და სამარკო ნიშანი, მაგრამ რადგანაც ისინი შექმნილია საწარმოს შიგნით გაწეული დანახარჯებით, არამატერიალურ აქტივად აღიარებული არ არის და მიკუთვნებულია მიმდინარე პერიოდის ხარჯებზე.

არამატერიალური აქტივები

დასახელება	31.12.2020 ₾	31.12.2019 ₾
პროგრამული უზრუნველყოფა	52 977	52 977
პროგრამული უზრუნველყ. ცვეთა	-30 089	(24 726)
სხვა არამატერიალური აქტივი	0	264
სხვა არამატერიალური აქტივის ცვ	0	(160)
ჯამი	22 888	28 355

5.20. სხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები:

საანგარიშგებო წლის დასაწყისისათვის საწარმოს არ გააჩნდა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულება, თუმცა 2020 წლის 27 აგვისტოს სს საქართველოს ბანკთან გაფორმდა **NGCLCA000434027-6793675** სესხის ხელშეკრულება თანხით – 4 000 000 ლარი. სესხის მიზნობრივობას წარმოადგენდა ქ. ქუთაისში პურის ქარხნის მშენებლობა. 2020 წელს საზოგადოების მიერ სესხის ძირითადი თანხიდან დაფარულია - 177 421 ლარი, შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გრძელვადიანი სასესხო ვალდებულების სახით ერიცხება – 3 822 579 ლარის ოდენობით.

5.21. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

საწარმოს სავაჭრო მოთხოვნების ანგარიშზე ასახული აქვს თანხები, რომლებიც წარმოიქმნა დარიცხული შემოსავლებიდან და რომელთა გადახდაც საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის არ განხორციელებულა. ამასთან, საწარმოს საკონლისა და მომსახურების მიწოდება დაკავშირებული მხარეების მიმართ არ განხორციელებია. ასეთის არსებობის შემთხვევაში მათი ასახვა მოხდებოდა განცალკევებულად.

სავაჭრო მოთხოვნები

დასახელება	31.12.2020 ₾	31.12.2019 ₾
მოთხ. მიწოდებიდან და მომსახურ	2 290 907	1 730 903
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	22 986	2 111
ჯამი	2 313 894	1 733 014

5.22. გაცემული სესხები:

2018 წელს თანამშრომელზე სესხად გაცემული იყო – 8 200 ლარი, საიდანაც 4500 ლარი დაბრუნდა იმავე საანგარიშგებო პერიოდში, ხოლო დარჩენილი – 3700 ლარი, მსს ფასს მე-11 განყოფილების, კერძოდ 11.9 პუნქტის მოთხოვნებიდან გამომდინარე ასახულია გაცემული სესხების მუხლში განცალკევებულად.

5.23. გადავადებული საგადასახადო აქტივი:

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში გადავადებული საგადასახადო აქტივი არ ერიცხება.

5.24. სავაჭრო ვალდებულებები:

საწარმოს სავაჭრო ვალდებულებების ანგარიშზე ასახული აქვს თანხები, რომლებიც წარმოიქმნა დარიცხული ხარჯებიდან და რომელთა გადახდაც საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის არ განხორციელებულა. შესაბამისად, სავაჭრო ვალდებულებები აღიარებულია პირვანდელი ღირებულებით.

სავაჭრო ვალდებულებები

დასახელება	31.12.2020 წ	31.12.2019 წ
ვალდებულებები მოწოდებიდან	564 353	724 576

5.25. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები:

5.25.1. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები

საწარმოს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები აღრიცხული აქვს განცალკევებულად, საგადასახადო ანგარიშგებაში დეკლარირებული გადასახადის ოდენობით. ამასთან, გადასახადის სახეობების მიხედვით საგადასახადო ვალდებულებები დარიცხულია სააღრიცხვო საანგარიშო პერიოდის მიხედვით, ხოლო ერთიანი საგადასახადო ვალდებულების ანგარიშზე (საბალანსო ანგარიში 3305) გადაიტანება საგადასახადო ანგარიშგების მიხედვით.

სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

(მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები)

დასახელება	31.12.2020 წ	31.12.2019 წ
გადასახდელი საშემოსავლო გადას	0	216 629
გადასახდელი დღგ	19 791	-
ვალდებულება საპენსიო ფონდის	23 072	5 741
ქონების გადასახადი	20 595	14 339
მოგების გადასახადი	2 864	4 375
ჯამი	241 084	241 084

5.25.2. გადასახდელი ხელფასები

საწარმო, მსს ფასს-ის 28-ე განყოფილების მოთხოვნების სრული დაცვით აღრიცხავს დაქირავებულ პირთა გასამრჯელოს. მოცემული სტანდარტის გათვალისწინებით, საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის დარჩენილი აქვს თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების გადახდის ვალდებულება. აღნიშნული ვალდებულება არ მოიცავს საშემოსავლო გადასახადს, ვინაიდან გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი ასახულია შესაბამის მუხლში განცალკევებულად.

	31.12.2020 წ	31.12.2019 წ
გადასახდელი ხელფასი	70 528	132 864

5.25.3. ვალდებულებები პერსონალის წინაშე

	31.12.2020 წ	31.12.2019 წ
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	140	
ვალდ. საწ. პერსონალის წინაშე	3 000	

5.26. სხვა ფინანსური ვალდებულებები:

უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოს გააჩნია დისტრიბუტორების ანგარიშგების რისკის დაზღვევის პოლიტიკა, რაც განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების საფუძველზე - „დასაქმებულის სამსახურეობრივი პასუხისმგებლობის დაზღვევის შესახებ“, რის საფუძველზეც ე.წ. „საგარანტიო ფონდში“ მიემართება გარკვეული თანხები, რომელიც დისტრიბუტორებს უბრუნდება საგარანტიო თანხის შევსების ან საბოლოო ანგარიშსწორების დროს. ამავდროულად წარმოიშება ფინანსური ვალდებულებები.

	31.12.2020 ₾	31.12.2019 ₾
სხვა დარიცხული ვალდებულებები	165 750	123 250

5.27. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შესადარისი პერიოდის (31.12.2017 და 31.12.2018) კორექტირების საფუძველი.

მსს ფასს-ის 29-ე განყოფილების თანახმად საგადასახადო მოგებასა და ფინანსურ მოგებას შორის დროებითი სხვაობების შედეგად გადასახდელი და გაანგარიშებული გადასახადებს შორის სხვაობა აისახება საგადასახადო აქტივის ან გადავადებული მოგების გადასახადის სახით.

ვინაიდან წინა პერიოდებში, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით, მოგების გადასახადის გასაანგარიშებელი ბაზა არსებითად განსხვავდებოდა ფინანსური მოგების გაანგარიშების პრინციპისაგან, ბუნებრივია წარმოიშვა გადავადებული საგადასახადო აქტივი, თანხით - 339 781 ლარი, რაც მსს ფასს-ზე გადასვლის მომენტისთვის (2017 წლის 01 იანვარი) დაკორექტირდა. შესაბამისად, 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში გადავადებული საგადასახადო აქტივი არ ფიქსირდება.

6. საქმიანობის შედეგების ანგარიშგება:

6.1. შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;

6.2. ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები და ხარჯები და მოგება ზარალი ასახულია ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდით (მოდელით);

6.3. ამონაგები

საანგარიშგებო პერიოდში მიღებული ამონაგები ასახულია ქვემოთ ცხრილში:

დასახელება	2020 ₾	2019 ₾
ამონაგები რეალიზაციიდან	45 520 433	42 266 135
საქონლის დაბრუნება და ფასდათმ.	-1 820 927	(1 846 950)
შემოსავალი საწვავის რეალიზაც.	868 472	761 546
შემოსავალი მარაგების რეალიზაც.	3 343	3 929
შემოსავალი საოპერაციო იჯარიდან	1 041 886	1 169 834
სხვა საოპერაციო შემოსავალი (რეცხვა)		2 796
ჯამი	45 613 207	42 357 291

6.4. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება:

6.4.1. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აღიარებულია შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს. ხოლო, ჩამოწერა ხორციელდება „საშუალო შეწონილი“ ღირებულებით. ამასთან, ნედლეული და მასალები ჩამოიწერება დაუმთავრებელ წარმოებაზე ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით და კონტროლდება გამოშვებული პროდუქციის რაოდენობისა და ხარჯვის ნორმების შესაბამისად; ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ნედლეული და მასალების ხარჯი ტექნოლოგიური მიზნისათვის, აგრეთვე, დამხმარე მასალები ჩამოიწერება პროდუქციის თვითღირებულებაზე ფაქტობრივი ხარჯვის შესაბამისად.

წინა ანგარიშგებისაგან განსხვავებით, ვინაიდან ანგარიშგების დამტკიცებული ფორმა ითვალისწინებს თვითღირებულების გამოთვლას მზა პროდუქციისა და დაუმთავრებელი წარმოების მარაგების ცვლილებისა და გახარჯული (გამოყენებული) მასალებისა და ნედლეულის მუხლებში შეტანილი მონაცემებით, თვითღირებულება გამოთვლილია შესაბამისი დანახარჯების მიხედვით, რაც 2019 წელს 23 078 017 ლარს, ხოლო 2020 წელს – 24 999 938 ლარით განისაზღვრა.

6.4.2. ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის და წყლის ხარჯი დაუმთავრებელი წარმოების დანახარჯებში შეიტანება საანგარიშო ზედნაღები ხარჯების სახით.

პურპროდუქტების წარმოება საკმაოდ ენერგოტევადია და შესაბამისად მოხმარებული ელექტროენერგიის და ბუნებრივი აირის ხარჯი საკმაოდ მაღალია, რაც ნათლად სჩანს ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

დასახელება	2020 წ	2019 წ
ომუნალური ხარჯები	-1 865 199	(1 691 887)
ჯამი	(1 865 199)	(1 691 887)

6.4.3. რეალიზებული პროდუქციისა და მარაგების თვითღირებულების გაანგარიშება მოცემულია ცხრილში:

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		
დასახელება	2020 წ	2019 წ
მატერიალური დანახარჯები	-24 999 938	(23 078 017)
ზედნაღები ხარჯები	-1 865 199	(1 684 086)
შრომის ანაზღაურება	-3 303 752	(2 056 264)
პროდუქციის დაბრუნება	841 682	847 612
ჯამი	-29 327 207	(25 970 754)

ზედნაღები ხარჯები ძირითადად მოიცავს ენერგომატარებლებს, რაც მუხლობრივად გაშიფრულია ზემოთ (პ. 6.4.2.)

6.5. რეკლამისა და მიწოდების ხარჯები:

6.5.1. პურპროდუქტების ბაზარზე კონკურენცია საკმაოდ მაღალია და მასთან გამკლავება შეუძლებელია მარკეტინგული და სარეკლამო აქტიურობის გარეშე. ამ მიზნით საანგარიშგებო პერიოდში არსებითად გაიზარდა ამ ღონისძიებებზე გაწეული ხარჯები:

რეკლამისა და მარკეტინგის ხარჯები

დასახელება	2020 წ	2019 წ
მარკეტინგული მომსახურება	-1 807 938	(1 566 700)
რეკლამის ხარჯები	-17 796	(21 852)
ღიზინის მომსახურება	-550	(650)
ჯამი	-1 826 284	(1 588 552)

6.5.2. მიწოდების (ტრანსპორტირებისა და გადაცემის) ხარჯები

მიწოდების ხარჯები მოიცავს პურპროდუქტების დისტრიბუციაზე გაწეულ დანახარჯებს

დასახელება	2020 წ	2019 წ
პროდუქციის ტრანსპორტ. (საწვავი)	-820 324	(745 961)
ტრანსპორტირების ხარჯი	-75 277	(162 546)
დისტრიბუტორების შრომის ანაზღაურება	-4 723 788	(4 025 687)
პროდუქციის შეფუთვა	-7 197	(388 263)
ჯამი	-211 630	(5 322 456)

6.6. დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

დაქირავებულ პირთა შრომის ანაზღაურება საწარმოო პერსონალის, დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალის აღირიცხება დიფერენცირებულად. ფინანსურ ანგარიშგებაში საწარმოო პერსონალის ანაზღაურება ასახულია თვითღირებულების მუხლში, დისტრიბუტორებისა—მიწოდების ხარჯებში, ხოლო დანარჩენი პერსონალისა გამიჯნულად საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში:

	2020 წ	2019 წ
დაქირავებულ პირთა შრომის ანაზღაურება	-859 159	(1 690 509)

6.7. ამორტიზაცია

სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად ძირითად აქტივებს ცვეთა ერიცხება შემცირებადი ნაშთის მეთოდით:

დასახელება	2020 წ	2019 წ
ცვეთა და ამორტიზაცია	-1 825 706	(2 061 518)
არამატერიალური აქტივების ცვეთა	-5 363	(5 284)
ჯამი	-1 831 069	(2 066 802)

6.8. აქტივების გაუფასურება:

პურპროდუქტებს გააჩნია მოხმარების შეზღუდული ვადები, რის გამოც სავაჭრო ქსელში პურპროდუქტები შეტანიდან ერთი დღის შემდეგ ძნელად რეალიზებადია და საწარმოს უბრუნდება. მობრუნებული პურპროდუქტების მცირე ნაწილი გადამუშავდება ორცხოვრილად, ხოლო მოძველებული (დაბრუნებული) ჩამოფასების შემდეგ იყიდება შესაძლო სარეალიზაციო ფასით. ჩამოფასების თანხა მიეკუთვნება გაუფასურებიდან წარმოქმნილ ზარალს და აისახება საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ შედეგებში.

გაუფასურების ხარჯი/რევერსირება სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებზე

დასახელება	2020 წ	2019 წ
მოძვ. პროდუქციის გაუფას. ხარჯი	-96 640	(101 827)
ჯამი	-96 640	(101 827)

მის ფასს-27-ე განყოფილების მოთხოვნებიდან გამომდინარე, საწარმო ყოველწლიურად აანალიზებს აქტივების შესაძლო გაუფასურებას, რომელთა საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების კრიტერიუმების გამოყენებით გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აისახება მოგება/ზარალის შესაბამის ანგარიშებში.

საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივებისა და ძირითადი საშუალებების გაუფასურება არ დაფიქსირებულა.

6.9. ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები - 1 386 315 ლარი. მათ შორის:

6.9.1. ადმინისტრაციული და საერთო ხარჯები

ფინანსური ანგარიშგების ამ მუხლში ასახულია ყველა საოპერაციო ხარჯი, რომელიც შეტანილი არ არის ზემოთ მოყვანილ მუხლებში.

დასახელება	2020 წ	2019 წ
საკანცელარიო ხარჯები	-12 861	(8 884)
კომპიუტერის ხარჯები	-2 785	(4 977)
სამეურნეო ხარჯები	-89 312	(47 255)
ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები	-906 822	(778 950)

დაზღვევის ხარჯები	-134 391	(30 636)
ტექნიკური და შრომის უსაფრთხ. ხარჯ	-4 098	(3 286)
საერთო დანიშნულების რემ. ხარჯები	-4 305	(10 396)
საღარო აპარატების რემონტი-ტექმომსახურ.	-8 724	(6 207)
ბანკის მომსახურება	-9 030	(9 995)
ანარიცხები დაგროვებით საპენსიო ფ.	-152 775	(137 465)
მივლინების ხარჯები	-300	(5 406)
სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარ	-76 643	(102 096)
ჯამი	-1 402 046	(1 145 552)

6.9.2. აუდიტის მომსახურება:

აუდიტის მომსახურებით საწარმომ ისარგებლა ფინანსური ანგარიშგებისა და მიმდინარე საკითხების აუდიტთან დაკავშირებით:

	2020 წ	2019 წ
აუდიტის მომსახურება	-15 000	(13 250)

6.9.3. საკონსულტაციო:

საკონსულტაციო მომსახურება ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია აუდიტორის მომსახურებისაგან გამიჯნულად:

დასახელება	2020 წ	2019 წ
ეფემჯი სოფტ-ის მომსახურება	-3 050	(3 250)
საკანონმდებლო მაცნეს მომსახურება	-294	(294)
სხვა საკონსულტაციო მომსახურება		(1 456)
ჯამი	-3 344	(5 000)

6.9.4. საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა):

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად საწარმო მოგების გადასახადით იბეგრება საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით (ე.წ. „ესტონური მოდელით“). დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება, ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნისათვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან განაცემებს. მსს ფასს შესაბამისად დასაბეგრი და ფინანსური მოგების სხვაობის შედეგი აისახება საგადასახადო აქტივის ან გადავადებული მოგების გადასახადის სახით. საწარმომ ფინანსური შედეგები (საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი) შეამციროს მხოლოდ საანგარიშგებო წელს დეკლარირებული და გადახდილი მოგების გადასახადით.

საგადასახადო ხარჯების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში:

დასახელება	2020 წ	2019 წ
ქონების, გარადა მიწისა გადასახადი	-169 679	(149 084)
არასას.-სამეურნეო მიწის გადასახად.	-4 178	(3 708)
არარეზიდენტის საშემოსავლო	-16 533	(1 036)
ჩაუთვლელი დღგ	-1 619	(470)
საბაჟო გადასახადი	0	(68)
ჯამი	-192 009	(154 366)

6.9.5. კომუნალური და საკონსულტაციო ხარჯი

დასახელება	2020 წ	2019 წ
დასუფთავება და დერატიზაცია	-8 550	(7 800)
კომუნიკაციის ხარჯი	-7 539	(9 499)
საფოსტო მომსახურება	-160	(429)
დომენის მომსახურება	-487	(398)
კომუნიკაციის სხვა ხარჯები	-345	(191)
ჯამი	-17 081	(18 317)

6.9.6. იჯარის ხარჯი:

საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს იჯარით ჰქონდა აღებული მიწის ნაკვეთი და საამშენებლო ტექნიკა:

	2020 წ	2019 წ
იჯარის ხარჯი (მიწის და ტექნ. იჯარა)	-10 630	(7 498)

6.9.7. საგალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება/ზარალი:

ქვემოთ მოცემულია საკურსოსხვაობები, რომელიც წარმოიშვა მიმდინარე პერიოდში ფულადი მუხლების გადაფასების (წლის ბოლოს არსებული კურსის შესაბამისად) დროს. შესაბამისად, მსს ფასს-ის 30.10 განყოფილების მოთხოვნებიდან გამომდინარე აღნიშნული თანხები აკუმულირდა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში,

საგალუტო კურსის ცვლილების ეფექტი

დასახელება	2020 წ	2019 წ
შემოსავალი საკურსო სხვაობიდან	12 654	2 374
ზარალი საკურსო სხვაობიდან	-32 149	(44 705)
ჯამი	-19 495	(42 331)

6.10. ფინანსური ხარჯები:

მსს ფასს-ის თანახმად ფინანსურ მუხლს არ მიეკუთვნება ისეთი ფულადი დანახარჯები, რომლებიც არ გამომდინარეობს სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან. აღნიშნულის გამო საგადასახადო და ადმინისტრაციული ჯარიმები აისახა წმინდა არასაოპერაციო შემოსავლის მუხლში.

2019 წლის საანგარიშგებო პერიოდში გადახდილი პროცენტები აისახა ფინანსური ხარჯების სახით:

	2020 წ	2019 წ
საპროცენტო ხარჯები	-96 447	(34 194)
შხვა არასაოპერაციო ხარჯი	-15 179	

6.11. არასაოპერაციო შემოსავალი - 284 914 ლარი. მათ შორის::

6.11.1. საპროცენტო შემოსავალი:

საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ საწარმოს თავისუფალ ფულადი სახსრებს ერიცხება საპროცენტო სარგებელი. შესაბამისად, მსს ფასს-ის მე-11 განყოფილების მოთხოვნებიდან გამომდინარე აღნიშნული თანხები განცალკევებულად გამჟღავნებულია განმარტებით შენიშვნებში:

6.11.2. წმინდა არასაოპერაციო შემოსავლები წმინდა საოპერაციო შემოსავლებში შეტანილია ყველა არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი, რომლებიც მოცემული არ არის სხვა მუხლებში:

დასახელება	2020 წ	
წ შემოსავალი ძ/საშუალებების რეალიზაციიდან	-24 448	(18 050)
ძ/საშ. ლიკვიდაციით მიღებული ფასეულობები	3 715	2 756
შემოსავალი სხვა აქტივები რეალიზ.	3 079	3 906
დაბრუნებული შენატანი საპენსიო ფონდიდან	489 520	6 857
უსასყიდლოდ მიღებული მატ/ფასეულობები	378 310	377 834
ძირ.საშუალებების უსასყიდლოდ მიღება	0	30 190
შემოს.სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან	150 675	5 390
მიწოდება კომპენსაციის გარეშე	-50 109	(7 017)
ძირ. საშუალებების ჩამოწერა	-66 253	(58 958)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	-38 977	(90 407)
საგადასახადო ჯარიმა-საურავები	0	(53 177)
სხვა ადმინისტრაციული ჯარიმები	-7 761	(13 455)
ჯამი	837 751	185 867

7. ფულადი ნაკადების ანგარიშგება

7.1. ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში გამიჯნულადაა ასახული ფულადი ნაკადები საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან;

7.2. ფულად ნაკადებში საოპერაციო საქმიანობიდან შეტანილია ამონაგები პროდუქციისა და მარაგების რეალიზაციიდან, მომსახურების გაწევიდან, მათ შორის იჯარიდან.

7.3. საოპერაციო საქმიანობიდან ფულად ნაკადებში გათვალისწინებული არ არის ამონაგები ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან და დანახარჯები ძირითადი აქტივების შეძენასა და მონტაჟზე;

7.4. საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებულ დანახარჯებში შეტანილია საგადასახადო ვალდებულებების დაფარვასთან დაკავშირებული გადახდები;

7.5. ძირითად აქტივების რეალიზაციიდან შემოსულობები და დანახარჯები მათ შესყიდვასა და მონტაჟზე საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკით მიკუთვნებულია საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე;

7.6. საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკით მიღებული დივიდენდები კლასიფიცირდება, როგორც საინვესტიციო ფულადი ნაკადები, ხოლო გაცემული დივიდენდები – როგორც ფინანსური ოპერაციები. საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს დივიდენდები არ მიუღია;

7.7. ფულად ნაკადებში ფინანსური საქმიანობიდან შეტანილია მიღებული და გადახდილი პროცენტები, გაცემული დივიდენდები, სესხებთან დაკავშირებული ოპერაციები და სხვა ფინანსური ოპერაციები;

7.8. საბანკო ანგარიშებზე არსებული ნაშთების მიხედვით საწარმოს 2019 წელს მიღებული აქვს საპროცენტო შემოსავალი 89875 ლარის ოდენობით, ხოლო საბანკო სესხებზე გადახდილია - 34 194 ლარი.

8. ცვლილებები საწარმოს საკუთარ კაპიტალში

8.1. 2020 წელს საწარმოს კაპიტალში პარტნიორთა მიერ დამატებითი შენატანი არ განხორციელებულა და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის – 4 153 565 (ოთხი მილიონ ასორმოცდაცამეტი ათას ხუთას სამოცდახუთი) ლარს შეადგენდა.

8.2. 2019 წელს პარტნიორთა გადაწყვეტილებით გაუნაწილებელი მოგებიდან 9,0 მლნ ლარი გადატანილი იქნა საწარმოს განვითარების რეზერვის ანგარიშზე.

8.3. საანგარიშგებო პერიოდში ფინანსურმა მოგებამ 5,120 მლნ. ლარი შეადგინა. შედეგად, კომპანიის საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდში გაიზარდა მიღებული წმინდა მოგების ხარჯზე და 25 მლნ ლარი შეადგინა.

9. დასკვნითი ნაწილი

9.1. საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება მიღებულია და ნებადართულია გასაცემად 2021 წლის 15 სექტემბერს;

9.2. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

კომპანიის დირექტორი

არისი ბოჭოიძე

მთავარი ბუღალტერი

ირაკლი ბოჭორიშვილი

8. ცვლილებები საწარმოს საკუთარ კაპიტალში

8.1. 2020 წელს საწარმოს კაპიტალში პარტნიორთა მიერ დამატებითი შენატანი არ განხორციელებულა და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის – 4 153 565 (ოთხი მილიონ ასორმოცდაცამეტი ათას ხუთას სამოცდახუთი) ლარს შეადგენდა.

8.2. 2019 წელს პარტნიორთა გადაწყვეტილებით გაუნაწილებელი მოგებიდან 9,0 მლნ ლარი გადატანილი იქნა საწარმოს განვითარების რეზერვის ანგარიშზე.

8.3. საანგარიშგებო პერიოდში ფინანსურმა მოგებამ 5,120 მლნ. ლარი შეადგინა. შედეგად, კომპანიის საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდში გაიზარდა მიღებული წმინდა მოგების ხარჯზე და 25 მლნ ლარი შეადგინა.

9. დასკვნითი ნაწილი


9.1. საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება მიღებულია და ნებადართულია გასაცემად 2021 წლის 15 სექტემბერს;

9.2. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას აღვილი არ ჰქონია.

კომპანიის დირექტორი


 არის ბოჭოიძე

მთავარი ბუღალტერი


ირაკლი ბოჭორიშვილი

შპს „იფელი“

მმართველობითი ანგარიშგება

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ:

1.1. კომპანია დაფუძნებულია 2006 წელს ფიზიკური პირის ვასილ ბაკურაძის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით, შპს „ქართოს“ სახელწოდებით. 2013 წლის აპრილში განხორციელდა კომპანიის რეორგანიზაცია, მასთან შპს „იფელის“ შერწყმის (მიერთების) გზით. საანგარიშგებო პერიოდში კომპანია ფუნქციონირებდა შპს „იფელის“ სახელწოდებით (ს.კ. 200179118). კომპანიის პარტნიორებია: შაქრო ბაკურაძე, წილი კაპიტალში – 40%; ვასილ ბაკურაძე – 30% და ბაქარ ბაკურაძე – 30%;

1.2. კომპანია რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში 2006 წლის 24 თებერვალს, სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი: 3365/001-შპს

1.3. საწარმოს იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ე. ხარაძის ქ. №2ა.

2. საწარმოს ძირითადი საქმიანობა:

2.1. სამეწარმეო რეესტრში ბიზნესოპერატორად რეგისტრირებულია შპს „იფელის“ საქმიანობის შემდეგი სახეები:

- ◆ ფქვილი და ფქვილოვანი პროდუქცია
- ◆ კრემიანი საკონდიტრო ნაწარმი და შოკოლადი
- ◆ მზა კერძები, კულინარიული ნაწარმი
- ◆ საკონდიტრო ნაწარმი
- ◆ წარმოება
- ◆ გადამუშავება
- ◆ შეფუთვა ან დაფასოება
- ◆ სადისტრიბუციო ქსელი
- ◆ საწყობი, სათავსი და სხვა
- ◆ საცალო ვაჭრობა

2.2. საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის ძირითადი საქმიანობა იყო პურ-პროდუქტების წარმოება და რეალიზაცია.

2.3. საწარმოს გააჩნია შემდეგი ძირითადი ქვედანაყოფები:

- ◆ ადმინისტრაციის აპარატი;
- ◆ პურ-პროდუქტების საწარმო;
- ◆ ფუნთუშეულისა და საკონდიტრო წარმოების საამქრო;
- ◆ სადისტრიბუციო სამსახური;
- ◆ ხარისხის მართვის ლაბორატორია;
- ◆ მზა პროდუქციის შეფუთვისა და გაცემის უბანი;
- ◆ ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციის განყოფილება;
- ◆ ტექნიკური განყოფილება;
- ◆ სასაწყობო მეურნეობა.

3. ბიზნეს გარემოსა და რისკების მიმოხილვა:

3.1. კომპანიის პროდუქცია იყიდება ქ. თბილისში, გორში, მცხეთაში, მარნეულისა და თეთრი წყაროს რაიონებში, კახეთის რეგიონში, ქალაქებში:

ბათუმი, ფოთი, ქუთაისსა და ზესტაფონში. პურპროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციის ბიზნესის ბაზარზე დიდი კონკურენციაა, რასაც კომპანია დღეისათვის კარგად უნკლავდება, პროდუქციის მაღალი ხარისხისა და აქტიური მარკეტინგული საქმიანობის ხარჯზე.

კომპანიამ 2018 წელს განახორციელა საწარმოს ტექნიკური გადაიარაღება-განახლება. დამონტაჟდა 4 ავტომატური პურის საცხობი ხაზი. დღეისათვის საწარმო თავისი ტექნიკური აღჭურვილობით ერთ-ერთი საუკეთესოა ამიერკავკასიაში.

ევროპიდან (სლოვენიის რესპუბლიკა) შესყიდული და დამონტაჟებული პურ-პროდუქტების წარმოების კომპლექსი ხაზი, რომელიც პასუხობს ევროსტანდარტებს. ავტომატიზირებულია სრული ტექნოლოგიური პროცესი ნედლეულის ჩატვირთიდან მზა პროდუქციის გამოსვლამდე.

როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველო არ ფლობს განვითარებულ ბიზნესს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რომელიც დამახასიათებელია უფრო მეტად თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის. უფრო მეტიც, შიდა ბაზარზე არასტაბილურია ძირითადი ნედლეულის – ფქვილის ფასი. ამასთან, ვალუტის კურსის მერყეობის გამო პურ-პროდუქტების წარმოებისა და შეფუთვისათვის საჭირო იმპორტული მასალების, ტექნოლოგიური მოწყობილობების საექსპლუატაციო მასალებისა და სათადარიგო ნაწილების შესყიდვის ღირებულება იზრდება, რაც არსებითად ზრდის წარმოების თვითღირებულებას.

კრიზისი მსოფლიო ეკონომიკაში შესაძლოა შეეხოს იმ ქვეყნებს, რომლებთანაც კოპერირების სახით კომპანიას აქვს ეკონომიკური ურთიერთობა, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ნედლეულისა და იმპორტული მოწყობილობების ფასებზე და მოწოდების პირობებზე, რაც შესაძლოა უარყოფითად აისახოს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე და მენეჯმენტზე.

უნდა აღინიშნოს, რომ კონკურენცია შიდა ბაზარზე, კვების პროდუქტების ხარისხისადმი გაზრდილი მოთხოვნები, ევროსტანდარტებთან მიახლოების აუცილებლობა, აიძულებს პურ-პროდუქტების მწარმოებელ საწარმოებს დანერგონ თანამედროვე ტექნოლოგია და შესაბამისი ტექნიკური საშუალებები. პურ-პროდუქტების საწარმოო მოწყობილობების განვითარების ტენდენცია აჩვენებს, რომ ძირითადი ტექნოლოგიური მოწყობილობების მორალური მოძველების პერიოდი მცირდება და 3-4 წელიწადში შესაცვლელი ხდება, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან რეინვესტირებას.

ერთის მხრივ წარმოების დანახარჯების ზრდა, ხოლო მეორეს მხრივ, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გამო პურ-პროდუქტებზე ფასების გაზრდის შეზღუდვა, ვერ უზრუნველყოფს წარმოების რენტაბელობის ისეთ დონეს, რაც საშუალებას მისცემს დარგის საწარმოებს შექმნან რეინვესტირებისათვის აუცილებელი ფინანსური ბაზა. აღნიშნული გარემოებანი ზრდის პურის ბიზნესის რისკებსა და სტაბილურობას.

3.2. ზემოთ აღნიშნული რისკების თავიდან აცილების ან შედეგების შერბილების მიზნით კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილების შესაბამისად ხელმძღვანელობა ყოველწლიურად ასორციელებს შესაბამის ღონისძიებებს. კერძოდ:

- ♦ თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესების შესწავლა და დანერგვა საწარმოში. თანამედროვე მოწყობილობების შესყიდვა, რაც უზრუნველყოფს პროდუქციის ხარისხის სტაბილურობას, ენერგომატარებლების მოხმარების ეკონომიურობას და ექსპლუატაციის ხარჯების შემცირებას;

- ♦ პურპროდუქტების წარმოების ტექნოლოგიური პროცესის სრულყოფა;
- ♦ ახალი საფირმო, მაღალ კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნა და წარმოებაში ჩაშვება, შედეგად კომპანიის გაანგარიშებით პროდუქციის რეალიზაცია გაიზრდება 20-25%-ით.

- ♦ პურ-პროდუქტების ასორტიმენტის გაფართოება;
- ♦ მიწოდების არეალის გაფართოება.

◆ მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში დაგეგმილია სარეკლამო პროცესის გააქტიურება და სადისტრიბუციო საქმიანობის არსებითი გაუმჯობესება.

4. პროდუქციის ხარისხი:

4.1. პურ-პროდუქტების ხარისხი მნიშვნელოვან წილად დამოკიდებულია ნედლეულისა და მასალების ხარისხზე, ამ პრობლემის გადასაწყვეტად საწარმოში ფუნქციონირებს ხარისხის ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია საჭირო თანამედროვე ხელსაწყოებით. საწარმოში ფქვილის ყოველი პარტიის მიღებისას ხდება მისი ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობის კონტროლი, მოწმდება სხვა იგრედიენტების ხარისხი, დაწესდა მონიტორინგი ტექნოლოგიური პროცესების დაცვაზე და სხვა.

4.2. კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს კვების პროდუქტების უვნებლობის მოთხოვნების შესრულებას:

- სპეციალური სითხით ყოველდღიურად მუშავდება პურის სადისტრიბუციო ავტომატის ძარა და პურის კონტეინერები;

- მზა პროდუქციის 70-80 % იფუთება, სპეციალურ ქაღალდის პარკებში და პოლიპროპილენის ფირით. მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში კომპანია გეგმავს პროდუქციის მთლიანად ქაღალდის პაკეტებში მოთავსებას.

5. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები:

5.1. კომპანიაში ტარდება კვლევები დიეტური და დიაბეტური პურების შექმნაზე;

5.2. კომპანია მუშაობს პურ-პროდუქტების ახალი სახეობების შექმნასა და წარმოებაზე.

6. ფინანსური აღრიცხვა – ანგარიშგებისა და შიდა კონტროლის სრულყოფა:

6.1. საწარმო დიდ ყურადღებას უთმობს ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების სრულყოფას. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად შემუშავებულია საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა;

6.2. საგადასახადო ვალდებულებებისა და ფინანსური აღრიცხვის გაუმჯობესების მიზნით, შემუშავდა მეთოდика, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი ხდება გადასახადის გადამხდელის პირადი ბარათისა და ფინანსური აღრიცხვის მონაცემების ურთიერთშესაბამისობის სისტემური კონტროლი, რომელიც დაინერგება 2019 წლიდან.

6.3. სისტემატურად წარმოებს კომპიუტერული პროგრამა „ინფო-ბუღალტერიის“ განახლება;

6.4. ტარდება ღონისძიებები შიდა კონტროლის სრულყოფისათვის;

7. საწარმოს ურთიერთობა არარეზიდენტ კომპანიებთან

7.1. საწარმოს მჭიდრო ტექნიკური თანამშრომლობის კავშირი აქვს სლოვენიის, ჩეხეთისა თურქეთის კომპანიებთან. საწარმოს შესყიდული აქვს კომპანია „GOSTOL“-ის (სლოვენია) და „J4S.R.O“-ის პურ-პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიური მოწყობილობები, რაც ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში და სრულად აკმაყოფილებს ევროკავშირის სტანდარტებს.

7.2. საწარმოს კოოპერირების სფეროში მჭიდრო თანამშრომლობა აქვს ესპანეთის, გერმანიის, თურქეთის ფირმებთან.

საწარმო აფართოებს კომერციულ ურთიერთობებს ევროპის სხვა კომპანიებთან;

8. გარემოს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების მდგომარეობა:

8.1. საწარმო ახორციელებს გარემოს დაცვის ღონისძიებებს და აკმაყოფილებს გარემოს დაცვის სტანდარტებს. კერძოდ:

- ახალი თაობის პურის საცხობ ღუმელების ნამწვში შემცირებულია ნახშირჟანგის (CO) კონცენტრაცია;

- წარმოების პროცესში სპირიტული დუდილის შედეგად გამოიყოფა მავნე აირები, რომელთა ოდენობა სტანდარტით გათვალისწინებული ნორმის ქვემოთ მიღწეულია ახალი ავტომატური ხაზის პირობებში;

- ზოგადად პურის წარმოების პროცესში პრობლემატურია ჰაერის დამტვერიანება ფქვილის გაფრქვევის შედეგად. შპს „იფქლში“ ასეთი პრობლემა მოხსნილია, რადგანაც ფქვილის მიწოდება ხდება სპეციალური ფქვილის გადამტანი მილის (შნეკის) საშუალებით, რაც გამორიცხავს ატმოსფერული ჰაერის დამტვერიანებას.

8.2. საწარმო ახორციელებს უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის ღონისძიებებს. კერძოდ:

- პურის წარმოების ავტომატური ხაზი, გამორიცხავს ოპერატორის კონტაქტს საფრთხის შემცველი მოჭყობილობებთან მუშაობის პროცესში. მიუხედავად აღნიშნულისა განისაზღვრა და გადამზადდა პასუხისმგებელი პირები და მიეცათ შესაბამისი სერტიფიკატები.

8.3. გატარდა ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნათა უზრუნველყოფისათვის. დაინიშნა ტექნიკური უსაფრთხოების მონიტორინგის განმახორციელებელი პირები, რომლებიც შესაბამის გადამზადებას გაივლიან 2019 წელს.

8.4. საწარმოს მუშაკები უზრუნველყოფილია სპეცტანსაცმელით.

8.5. შექმნილია ნორმალური სამუშაო გარემო არამარტო საწარმოო პერსონალის, არამედ ინჟინერ-ტექნიკური და ეკონომიკური პერსონალისთვისაც.

9. სოციალური პროექტები:

9.1. საწარმო ასევე მონაწილეობს სხვა სოციალურ ღონისძიებებშიც:

9.2. გატარდა ორგანიზაციული ღონისძიებები 2019 წლის იანვრიდან დაგროვებითი საპენსიო ფონდის პროგრამაში შეუფერხებელი მონაწილეობისათვის. დაინიშნა რწმუნებული, რომელმაც გაიარა ტრენინგი.

შპს-ის „იფქლი“ (სN200179118)

დირექტორი

არისი ბოჭოიძე

7.2. საწარმოს კოოპერირების სფეროში მჭიდრო თანამშრომლობა აქვს ესპანეთის, გერმანიის, თურქეთის ფირმებთან.

საწარმო აფართოებს კომერციულ ურთიერთობებს ევროპის სხვა კომპანიებთან;

8. გარემოს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების მდგომარეობა:

8.1. საწარმო ახორციელებს გარემოს დაცვის ღონისძიებებს და აკმაყოფილებს გარემოს დაცვის სტანდარტებს. კერძოდ:

- ახალი თაობის პურის საცხობ ღუმელების ნამწვში შემცირებულია ნახშირჟანგის (CO) კონცენტრაცია;

- წარმოების პროცესში სპირიტული დუღილის შედეგად გამოიყოფა მანენე აირები, რომელთა ოდენობა სტანდარტით გათვალისწინებული ნორმის ქვემოთ მიღწეულია ახალი ავტომატური ხაზის პირობებში;

- ზოგადად პურის წარმოების პროცესში პრობლემატურია ჰაერის დამტვერიანება ფქვილის გაფრქვევის შედეგად. შპს „იფქლში“ ასეთი პრობლემა მოხსნილია, რადგანაც ფქვილის მიწოდება ხდება სპეციალური ფქვილის გადამტანი მილის (შნეკის) საშუალებით, რაც გამორიცხავს ატმოსფერული ჰაერის დამტვერიანებას.

8.2. საწარმო ახორციელებს უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის ღონისძიებებს. კერძოდ:

- პურის წარმოების ავტომატური ხაზი, გამორიცხავს ოპერატორის კონტაქტს საფრთხის შემცველი მოჭყობილობებთან მუშაობის პროცესში. მიუხედავად აღნიშნულისა განისაზღვრა და გადამზადდა პასუხისმგებელი პირები და მიეცათ შესაბამისი სერტიფიკატები.

8.3. გატარდა ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნათა უზრუნველყოფისათვის. დაინიშნა ტექნიკური უსაფრთხოების მონიტორინგის განმასწორებელი პირები, რომლებიც შესაბამის გადამზადებას გაივლიან 2019 წელს.

8.4. საწარმოს მუშაკები უზრუნველყოფილია სპეცტანსაცმელით.

8.5. შექმნილია ნორმალური სამუშაო გარემო არამარტო საწარმოო პერსონალის, არამედ ინჟინერ-ტექნიკური და ეკონომიკური პერსონალისთვისაც.

9. სოციალური პროექტები:

9.1. საწარმო ასევე მონაწილეობს სხვა სოციალურ ღონისძიებებშიც.:

9.2. გატარდა ორგანიზაციული ღონისძიებები 2019 წლის იანვრიდან დაგროვებითი საპენსიო ფონდის პროგრამაში შეუფერხებელი მონაწილეობისათვის. დაინიშნა რწმუნებული, რომელმაც გაიარა ტრენინგი.

შპს-ის „იფქლ“ (სN200179118)

დირექტორი

პრისი ბოჭოძე

